სისხლის საპროცესო სამართლის წყაროები (ზოგადი მიმოხილვა)

გივი აბაშიძე
სამართლის დოქტორი,
ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი

სისხლის სამართლის პროცესს, ისევე როგორც სისხლის სამართლის სხვა დარგებს აქვს თავისი წყაროები, რომლებიც დიდ როლს ასრულებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის სრულყოფასა და განვითარებაში, სისტემატიზაციასა და კოდიფიკაციაში. სისხლის სამართლის პროცესის წყაროები არცთუ იოლი ცნებაა.

იურისპრუდენციის ზოგადი თეორია სამართლის წყაროდ მიიჩნევს „იმ ზოგადი ხასიათის ნორმატიულ წარმონაქმნებს, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან სამართლის სხეულს, კვებავენ სამართალს.“[1] ანუ, ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ სამართლის ცალკეული დარგის წყარო არის ის ნორმატიული ბაზა, საიდანაც მომდინარეობს სამართლის ესა თუ ის დარგი. ასევე სისხლის სამართლის პროცესის შემთხვევაშიც.

როგორც იურიდიულ ლიტერატურაშია განმარტებული, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმა გამოხატულებას პოვებს კანონში. შეიძლება ითქვას, რომ ყველა კანონი, რომელიც ეხება სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასა და სასამართლოში განხილვას, ე. ი. შეიცავს საპროცესო ნორმებს, წარმოადგენს სისხლის საპროცესო სამართლის წყაროებს[2].

სისხლის სამართლის პროცესის წყაროები, ზოგიერთი მეცნიერის აზრით – ეს არის იურიდიული აქტი, რომელიც აუცილებლად უნდა შესრულდეს სამართლის ნორმების დაცვით, რომელიც აწყობილია იერარქიულად, ე. ი. ერთ წყაროს შეიძლება მეტი ძალა ჰქონდეს, ვიდრე მეორეს[3].

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით, სამართლის დარგის სპეციალისტების, მეცნიერ-იურისტების ერთი ნაწილი ზოგადად სამართლის და მათ შორის სისხლის საპროცესო სამართლის წყაროებს ორ, საკანონმდებლო და დოქტრინულ, ხოლო მეორე ნაწილი ოთხ ძირითად სახედ, კერძოდ ნორმატიულ აქტებად, სასამართლო პრეცენდენტებად, ჩვეულებებად და ხელშეკრულებებად ყოფს[4].

საკანონმდებლო წყარო არის უმაღლესი წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონები, რომლებიც როგორც ზოგადად, ასევე კონკრეტულად არეგულირებს სისხლის საპროცესო სამართლის საკითხებს, რომელთა შორის უმთავრესია ქვეყნის კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სხვა საკანონმდებლო აქტები, რომლებიც განსაზღვრავს სისხლის საპროცესო სამართლის საკითხებს.

თუმცა სისხლის სამართლის პროცესი არ არის მხოლოდ კოდექსი და სხვა საკანონმდებლო აქტების კრებული. იგი არის მთელი მეცნიერება, რომელსაც აქვს თავისი მიზანი, კვლევის საგანი, ფუნქციები და მეთოდები.

სისხლის საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანესი წყაროა ასევე მეცნიერ-იურისტთა ნაშრომები, კვლევები, თეორიები, სასამართლო პრეცენდენტები, ჩვეულებები, რომლებიც დოქტრინულ ხასიათს ატარებს, ანუ ისინი სავალდებულო ხასიათის არმქონეა[5], მაგრამ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში სამართლის წყაროებს შორის, განსხვავებით პრეცენდენტული სამართლის (საერთო სამართლის) ქვეყნებისაგან, სადაც სამართლის ძირითად წყაროს სასამართლოს გადაწყვეტილებები, ხელშეკრულებები, ჩვეულებები, პრაქტიკული მითითებები და სასამართლოს პრეცენდენტები წარმოადგენს, ძირითადი ადგილი უჭირავს კანონმდებლობას, რაც დამახასიათებელია რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნებისათვის, რომელთა ოჯახსაც საქართველო მიეკუთვნება.

[1] ბიძინა სავანელი. სამართლის თეორია, თბ. 1993 წელი, გვ. 3-28.

[2] სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), ავტორთა კოლექტივი, თბ. 2008 წელი, გვ. 84.

[3] Уголовно-процессуальное право Российской Федерации. Под. Ред. И.Л. Петрухина. М. 2006, стр. 24.

[4] http://ka.wikipedia.org; http://www.nplg.gov.ge/

[5] http://ka.wikipedia.org

ამდენად, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის წყაროები თავისი სისტემურობით ახლოს დგას კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნების სისხლის სამართლის პროცესის წყაროებთან.

რაც შეეხება ანგლო-ამერიკული ქვეყნების სისხლის სამართლის პროცესის წყაროებს, განსხვავებით კონტინენტური ევროპისაგან, არ გააჩნია ერთიანი, სისტემატიზირებული ფორმა და სისხლის სამართლის პროცესის წყაროებია ცნობილი იურისტების ნაშრომები, დაუწერელი კანონები, პრაქტიკული მითითებები, პრეცენდენტები და სხვა.

მაგ., ინგლისის და საერთოდ ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნების სისხლის სამართლის პროცესის წყაროებია სასამართლო პრეცენდენტები, ასევე ცნობილი ინგლისელი იურისტების ნაშრომები, რადგან ზოგიერთი ავტორის ნაშრომები შეიცავს საერთო სასამართლოსათვის სავალდებულო ნორმებს.

ამავე ქვეყნებში სისხლის საპროცესო მსამართალწარმოებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პრაქტიკულ მითითებებს, რომლის ავტორები არიან სასამართლო სისტემის უმაღლესი თანამდებობის პირები ან მათი დავალებით ავტორიტეტული მოსამართლეები.

ანგლოსაქსური სამართლის სისტემის ქვეყნების სისხლის სამართლის პროცესისათვის ხანგრძლივი დროის მანძილზე დამახასიათებელი იყო დაუწერელი კანონისადმი განსაკუთრებული უპირატესობის მიცემა, თუმცა თანამედროვე პერიოდში დაუწერელი (პრეცენდენტული) კანონები სისხლის სამართლის პროცესში კარგავენ ძველ პოზიციებს[6].

ანალოგიურად, აშშ-ში სისხლის სამართლის პროცესის მნიშბნელოვანი წყაროაუზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში პრეცენდენტული სამართლის ძირითად წყაროებს ქმნის, თუმცა ზოგიერთი შტატის სსს კოდექსები კრძალავს პრეცენდენტების გამოყენებას.

ამ მაგალითიდანაც კარგად ჩანს, რომა ანგლო-ამერიკულ ქვეყნებში სისხლის სამართლის პროცესის წყაროებს შორის დომინირებული მდგომარეობა უკავია პრეცენდენტებს, ხოლო რომანულ-გერმანული სისტემის სამართლის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, კანონმდებლობას.

სისხლის საპროცესო სამართლი ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს და საქართველოს სხვა კანონებს. სისხლის საპროცესო სამართლის წყაროდ გვევლინება აგრეთვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები.

ზოგადად განვიხილოთ სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი წყაროები:

ა) სისხლის საპროცესო სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს და სისხლის სამართლის პროცესის ფუძემდებლურ, ამოსავალ დებულებად გვევლინება. სისხლის სამართლის საპროცესო წყაროებიდან უპირველესად გამოირჩევა კონსტიტუციური ნორმები. სწორედ კონსტიტუცია განსაზღვრავს სისხლის სამართლის პროცესის წყაროების ძირითად ნორმებს.

კონსტიტუციით აღიარებულია ადამინის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი: ადამიანის პატივი და ღირსება, პირადი ხელშეუხებლობა, სიტყვის, აზრისა და სინდისის, აღმსარებლობის, პირადი ცხოვრების, საკუთრების, გადაადგილების, ინფორმაციის მიღების და სხვა უფლებები.

კონსტიტუციური ნორმები, მათ შორის კონსტიტუციის მე-40 მუხლი, რომელიც თავისი შინაარსით უდანაშაულობის პრეზუმფციას ასახავს, სრული შინაარსით იქნა გადმოტანილი სისხლის საპროცესო სამართლის პრინციპად და წარმოადგენს სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპის – ადამიანის უკანონო ბრალდებისაგან დაცვის გარანტიას.

საქართველოს კონსტიტუციაში, როგორ სისხლის სამართლის პროცესის ძირითად წყაროში, გადმოცემულია მთელი რიგი დებულებები და ნორმები კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლობაზე, ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობაზე, მართლმსაჯულების განხორციელების საყისებზე, დაკავებულის დაცვის უფლებაზე, სასამართლო სხდომის საჯაროობაზე, სამართალწარმოების ენის, მხარეთა თანასწორობის შესახებ და სხვ.

ფაქტიურად საქართველოს სსსკ საქართველოს კონსტიტუციის კონკრეტიზაციას წარმოადგენს და ამიტომ მას, როგორც იურიდიულ ლიტერატურაში არის მოხსენიებული, გამოყენებით კონსტიტუციურ სამართალსაც უწოდებენ[7].

ამდენად, როგორც ჩანს, საქართველოს კონსტიტუცია სისხლის საპროცესო სამართლის ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა, რომლის საწყისი დებულებები სწორედ კონსტიტუციიდან მოდის.

[6] К. Ф. Гуценко, А. В. Головко, Б. А. Филимонов. Уголовный процесс западных государств. Москва. 2002 г. Стр. 49.

[7] http://mimomxilveli.wordpress.com/ (სამართლის მიმომხილველი ბლოგი)

ბ) საერთაშორისო სამართლის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები ქართული კანონმდებლობის ნაწილია.

საქართველოს ნორმატიული აქტების იერარქიაში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, საქართველოს კონსტიტუციასა და კონსტიტუციური შეთანხმების მერე უფრო დიდი იურიდიული ძალა გააჩნია, ვიდრე საქართველოს სხვა რომელიმე ნორმატიულ აქტებს.

ეს მოთხოვნა შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლს, რომლის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

იქიდან გამომდინარე, რომ უკანასკნელ წლებში ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო სამართლის ნორმები, რომლის ძირითადი მიზეზია საქართველოს სინამდვილეში ადამიანიას უფლებათა ევროპული კონვენციის ფართო გამოყენება, ეს უკანასკნელი ითვლება საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად და აღიარებული უნდა იქნას სისხლის საპროცესო სამართლის წყაროდ.

1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა ევროპულმა კონვენციამ საქართველოს მოსახლეობას მათი უფლებების დასაცავად ფართო შესაძლებლობები შეუქმნა. ამდენად, აღნიშნულ კონვენციას საქართველოს სისხლის საპროცესო სამართლისათვის აქვს ფუძემდებლური მნიშვნელობა. იგი განსაზღვრავს საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ძირითად მიმართულებებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის ძირითად საერთაშორისო ხელშეკრულებას წარმოადგენს, შეიცავს ისეთ მნიშვნელოვან საპროცესო გარანტიებს, როგორიც არის თავისუფლება და ხელშეუხებლობა; წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა; სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება; უდანაშაულობის პრეზუმფცია; ბრალდებულისათვის წარდგენილი ბრალდების არსის და საფუძვლის დაუყოვნებლივ გაცნობის უფლება; დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დროისა და შესაძლებლობების ქონის უფლება; დამცველის ყოლის უფლება; თარჯიმნის უფასო დახმარებით სარგებლობის უფლება და სხვა გარანტიები, რასაც აღნიშნული კონვენციის დამატებითი ოქმები ითვალისწინებენ.

კონვენციის თანახმად, სახელმწიფოები უნდა დაემორჩილონ ევროპული სასამართლოს საბოლოო განჩინებას, რომლის მხარეებიც ისინი არიან და აქედან გამომდინარე მათთვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს სავალდებულო ძალა აქვს.

კონვენციის მსგავსად, სისხლის საპროცესო სამართლის წყაროდ აღიარებული უნდა იქნას აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერასლური ასამბლეის მიერ 1948 წელს მიღებული „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, რადგან ის მრავლად შეიცავს სისხლის საპროცესო სამართლის ისეთ პრინციპებს, როგორიც არის ბრალდებულის დაცვის უფლების უზრუნველყოფა, სისხლის სამართალწარმოების ღიაობა, უდანაშაულობის პრეზუმფცია, პიროვნების ხელშეუხებლობა, მისი პატივისა და ღირსებისა დაცვა, მოქალაქეთა თანასწორობა კანონისა და სასამართლოს წინაშე, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და სხვ.

სისხლის საპროცესო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა საერთაშორისო სისხლის საპროცესო სამართალი, რომელიც ისეთ საერთაშორისო საპროცესო სამართლებრივ ნორმებს შეიცავს, რაც საერთაშორისო სასამართლოს მიერ გამოიყენება საერთაშორისო დანაშაულის კატეგორიას მიკუთვნებული დანაშაულებრივი ქმედებებთან დაკავშირებული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის დროს.

ამასთან, სისხლის საპროცესო სამართლის წყაროდ უნდა მივიჩნიოთ ყველა ის საერთაშორისო აქტი, მათ შორის „კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის შესახებ“, „მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი“, „დანაშაულისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების დეკლარაცია“ და სხვა აქტები, რომლის მეშვეობით პირს შეუძლია დაიცვას თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები.

გ) სისხლის საპროცესო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსია.

2009 წლის 9 ოქტომბერს მიღებული და 2010 წლის 1 ოქტომბრიდან მოქმედი ახალი სსსკ თავს უყრის სისხლისსამართლებრივ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებს. ამასთან ადგენს დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების ძირითად წესება.

საქართველოს სსსკ შედგება ზოგადი და კერძო ნაწილებისაგან და თითოეული მათგანი შეიცავენ, როგორც ზოგად, ასევე კერძო ხასიათის საპროცესო დებულებებს.

სსს კოდექსი არეგულირებს ისეთ მნიშვნელოვან საპროცესო ინსტიტუტებს, როგორიც არის: სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის არსი და პრინციპები; სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები; მტკიცებულება და მტკიცების პროცესი; გამოძიების საფუძვლები; საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები; სისხლისსამართლებრივი დევნა; დაკავება და პირის ბრალდებულად ცნობა; აღკვეთის ღონისძიებანი; საპროცესო შეთანხმება; წინასასამართლო სხდომა; სასამართ ლოში საქმის არსებითი განხილვა; ნაფიც მსაჯულთა სასამართლო; განაჩენის დადგენა და გასაჩივრება; ცალკეული კატეგორიის საქმეთა წარმოების პროცედურა.

დ) სისხლის საპროცესო სამართლის წყაროებს, ზემოაღნიშნული ძირითადი წყაროების გარდა მიეკუთვნება აგრეთვე საქართველოს კანონები „საერთო სასამართლოების შესახებ“, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“, „საქართველოს პროკურატურის შესახებ“, „ადვოკატთა შესახებ“, „პოლიციის შესახებ“, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, „საქართველოს პატიმრობის კოდექსი“ და ყველა ის კანონი, რომელიც შეიცავს საპროცესო ნორმებს და ეხება სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებას და სასამართლო განხილვას.

სისხლის საპროცესო სამართლის სპეციალისტების, მეცნიერ-იურისტების გარკვეული ნაწილის[8] მოსაზრებით, რასაც ჩვენც ვეთანხმებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებები, ასევე საქართველოს მთავარი პროკურორის ბრძანებები და ინსტრუქციები არ შეიძლება განხილული იქნას, როგორც სისხლის საპროცესო სამართლის წყაროდ, რადგან პლენუმის დადგენილებები არ ქმნის ახალ ნორმას, მხოლოდ მითითებებს იძლევა მოქმედი კანონის ფარგლებში, რომელსაც სარეკომენდაციო ხასიათი აქვს, ხოლო პროკურორის ბრძანებები და ინსტრუქციები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სავალდებულოა შესასრულებლად გამოძიების ორგანოებისათვის, გამოიცემა მხოლოდ მოქმედი კანონების შესრულებისა და სწორი გამოყენების მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. თბ., 2009.
2. ბ. სავანელი. სამართლის თეორია, თბ. 1993.
3. სისხლის სამართლის პროცესი. ავტორთა კოლექტივი, თბ., 2002.
4. სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), ავტორთა კოლექტივი, თბ., 2008.
5. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი. ზოგადი ნაწილი (მეორე გამოცემა), ავტორთა კოლექტივი, თბ., 2013.
6. Уголовно-процессуальное право Российской Федерации. Под. Ред. И. Л. Петрухина. М. 2006
7. К. Ф. Гуценко, А. В. Головко, Б. А. Филимонов. Уголовный процесс западных государств. Москва. 2002 г
8. http://ka.wikipedia.org
9. http://www.nplg.gov.ge/
10. http://mimomxilveli.wordpress.com/ (სამართლის მიმომხილველი ბლოგი).

SOURCES OF CRIMINAL PROCEDURAL LAW

GIVI ABASHIDZE - doctor of law

The present article deals with the essence and importance of criminal law process sources, which play an important role in developing and perfecting the criminal law procedural legislation.

We have discussed the basic sources of criminal law process, in particular, Georgian Constitution, International Treaties and Agreements of Georgia, Criminal Procedural Code of Georgia and other Georgian laws on which criminal procedural law is based.

[8] სისხლის სამართლის პროცესი. ავტორთა კოლექტივი, თბ., 2003, გვ 26-27; სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), ავტორთა კოლექტივი, თბ., 2008, გვ. 89.